



მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 9

გამოვა ყოველ-კვირაობით, თუ ჩვენი კორესპონდენტები ზღვს შეგვიყვებენ. მისამართი: თიფლისი, ტიპოგ. შრომა, «მათრახი»



კ. ნ. [unclear]

გლახის სიზღარა.

აა იქნა, ვერ გადავადგეთ,
ეს ჩვეულება ძველიო,
ამ ბედნიერ დღეს მომწყვირა
ხურჯინის თრევამ წელიო.

ზურგზე მოვიდგე ბარგათა—
მთელი წლის ჩარჩო ჩვენიო!
მივდივარ, — ჩემსა ნათლიას
უნდა მივიართვა ძღვენიო!..

შო ბ ა

დღევანდელი დღე გვაგონებს
 დღესასწაულს, წარსულ შობას
 მისას, ვინაც ქადაგებდა
 სიყვარულს და კავშირ-ძმობას!

მისას, ვინაც ჩაგრულ ხალხსა,
 მოეგინა მხსნელ-შფარველად
 და თვალში უსინათლო
 აუხილა მან პირველად.

ქადაგებდა: „შეიყვარეთ
 სხვა, ვითარცა შენი თავი;
 ადამის-ქეთ არ შეშენით —
 შური, მტრობა, საქმე ავი.

ვისაც ორი პერანგი გაქვთ
 ერთი დასთმეთ მიეცეთ შიშველს,
 ღირსია, რომ აფასებდეთ
 გაქვირებულ კაცის მიშველს.

ერთი პური რომა გქონდეთ
 გაატეხეთ და ნახევარი
 მიაწოდეთ, თუ მშვიერი
 შეგხედეთ გლახა-მთხოვარი!“
 სხვა ათასი უთვალავი...

ვინ ასრულებს დღეს მის მცნებას?
 ვინაა ვინ, რაღან ფრთები
 გაშლილი აქვს ბოროტებას!

აბა ერთი გამობრძანდით
 იწყეთ მისებრ ქადაგება
 და იმ წამსვე დაინახაე —
 რა კარგი დღე დაგადგება.

შეიყვარე აბა ვინმე
 ისე, როგორც შენი თავი —
 ნახე თუ არ გიღალატოს
 და არ გასვას საწამლაგი!.

სადაც მიიხ-მოიხედაე,
 ყველგან მტრობა, ყველგან შური,
 ერთისა საბედნიეროთ —
 ათასია უბედური!

ვისაც ორი პერანგი აქვს
 მესამესაც ეძებს, უნდა
 და ის შიშველს რას დაუთმობს,
 თუ არ წახდა — არ გახუნდა!

დღიურ შრომით ქანც მიღებულს
 უყიდიდა ერთი პური,
 სახლში მიჰქვს, რომ წერილ ცოლ-შვილს
 გაუწიოს სამსახური.

მით, იგინსაც ვერ გააძღებს
 და რომ გასცეს ნახევარი;
 რაღა უთხრას მშვიერ ცოლ-შვილს,
 უთხრას ვნახე მათხოვარი?!

შოდა და შევიზარალებე
 შიმშილობა ნუ გვაწუნებს,
 ავიტანოთ... მის მშვიერი
 ცოლ-შვილი რას უპასუხებს?!
 კარგს არაფერს... დამანახეთ
 სად არსებობს ქრისტეს მცნება?
 და მივიხედ-მოვიხედლოთ —
 ერთი ვინმე თუ იქნება,
 რომ მის მცნებას, მის მოძღვრებას
 იცავდეს და მსახურებდეს
 და იმავე დროს — ქანქარით
 ჯიბეებს არ ახურებდეს...

სიტყვით ყველა იმას მივსდეთ —
 რასაც ქრისტე ქადაგებდა,
 მხოლოდ საქმით — რასაც იგი
 მუდამ გამობდა, აძაგებდა!..

დღევანდელი დღე გვაგონებს,
 გოლგოთას მთას, ჯვარცმას, შობას
 მისას, ვინაც გვასწავლიდა —
 სიყვარულს და კავშირ-ძმობას.

ვარლამ.

როდის ამოხვალ ბაზაზსულის მხვევ?

ზამთარი დაღა, გატიტლიკანდა
 ბალ-წალკოტ-ველნი, ტყე-შინდორ-მთები
 და ბუნებისა ასაკენსეგლოდ
 სუსხ-ქარიშხალმაც გაშალა მთები

გამეფდა ყინვა... აღვირ-წახსნილი
 ქარი ზუზუნებს, ღმუის, ტრიალებს;
 ცა კვნისის, აფრქვევს მწუხარების ცრემლს,
 ზღვა ღელავს, შფოთავს, გვინავს, ღრიალებს.

როდის ამოხვალ ვაზაზსულის მხვევ!
 როდის დაფრქვევ სივს ამ ქვეყნას,
 როდის გამართავ ტანჯულებს წელში,
 როდის აღადგენ ზეზე მათ ხანას?!

— მალე, სულ მალე, — გაიფანტება
 შვი დღეობები, ჩადგება ქარი,
 სხივი მოხვდება ჩაგრულთა მხარეს
 და სულსა დაღვეს ცივი ზამთარი.

ისევ ვიხილავთ ვაზაზსულის მხვევს,
 ქოჩორ აყრილ ტყეს, ტურფა ბუნებას
 და შეუღლებით ზამთრისგან წამლდარ
 საქმის აღდგენას, გამობრუნებას!..

ვ. აბრამიძე.

ნაზი მშობეჯი

(საშობაო მოთხრობა)

ფ. მიხეილძე.

ეს იყო სწორედ ერთი თავის შემდეგ რაც დიანადა პატარა საუ. მსხილ-მსხილი ვაჭარი იესაუ მიდიოდა რუსეთის ქუჩაზე და შიგორებდა პაწია ეტლს? რომელშიდაც ეწეო თავის ახალ შეძენილი ვეიო: თანახმა ჩვეულებისა ქალბატონი საუ შობა დლით გაეგზავრა თავის დედასთან უმაღლეს; და ქმარს დაელოდა, რომ ბავშვი კარგათ ჩაეწვირა ეტლში და წამოეღო ყოველივე ბავშვისთვის საჭირო ნივთები.

— დე მეზი დამეცეს თუ რამე საჭირო ნივთი დამჩა, — წაიხილულა თავისთვის ვაჭარმა, როდესაც გაჩერდა ოფლის მოსახლეთ და თან აქა-რებით დაიწყო თვლა:

— გულსაფარი... თავსახური... ცხვირსახოცი... საგები... პერანგები, თითქმის ყველა არის... მაგრამ რაღაცა რომ თვალში მაკლია? ვადეთელი თვიდან: პერანგები... ჩულქები... თავსახური... ის ფეკრებდა... ის ოქნებით მოსიდა თავის ბავშს თვიდან ფეხში, მაგრამ არ იქნა რაღაცა აკლია. ასეთ ვასპირში იყო ჩვენი მოთხრობის სსახილო გმირი, როდესაც მას წამოეწვია თავის მეგობარი ოტრე, რომელმაც მიულოცა ახალ შეძენილი მემკვიდრე — მეგობარო ოტრე! — უთხრა საუ, მე მიყავს ბავშვი ცოლთან, რომელიც გაემგზავრა თავის დედასთან, მაგრამ რაღაც ბავშვისთვის საჭირო დამჩა სახში; მაგაში ეგრე ვარ დარწმუნებული; როგორ შენ გხედავ, მაგრამ რა დამჩა ვერ გავიხსენებ. აი! ესაა შენც ხომ გყავს ბავშვი? დაიწყო თავსახურიდან და ჩამოიშთვალე ფეხსაცმელადინ და საბავშვოთ ისეთ „საქერტს“ გეტყვი რომელიც ძრიელ საქრო არის ჩვენი ხელობისთვის. ვახარებულმა და გამხევეებულმა ამ დაპირებით ოტრემ დაიწყო:

— საწოვარი!
— არა! ეს ქე მომაქვს.
— გულსაფარი! ცხვირსახოცი
— არა! არა! ცოტა რაღაცა უფროსი ნივთი, აი! უფროსი... გაცივებულმა და თან დაინტერესებულმა ასეთი შემთხვევით, ოტრემ გაყვა უკან თავის მეგობარს, რომელიც ისევ ჩაფეკრებული მი-ვგორებდა პაწია ეტლს. ამ დროს ამათ წამოეწვია ახლავარდა კორი. მას ძრიელ გუხარდა საუს შესხედრა, რადგანაც უკანასკნელი კარგი ოსტატი იყო ცხენების არჩევაში. კორმა დაიწყო თავის ს-ჭირო საგანს საუბარი, მაგრამ მას შეუტია ოტრემ

და სიტყვა გააწყვეტინა. საუმ კი აღუტყვა დახმარება იმ შემთხვევაში, თუ ის მოაგონებდა, ჩნ რიგის), რომელიც მას სახლში დარჩა.

კორმაც ფიქრს მისცა თავი... და ბოლოს გახარებულმა წამოიძახა: — საწოვარი!

ორთვე თანამგზავრებმა შეუკურთხეს მას. დაინტერესებულმა კორმა, რომელსაც სრულიად დაეწეოდა საბარლო ცხენის ყოღვა, უკან დაედევნა საუს და ოტრეს იმ ფეკრით, რომ ამოკანას ახსნიდა და შემდეგ საუსგან დახმარებას მიიღებდა. საუმი კი შიშით ნაბიჯს უტყო, რადგანაც იგრანო თავისი სიღვდრის სახლთან მიახლოვება.

როდესაც ის ეზოში შევიდა მას უკვე ახლდა რამოდენიმე ათეული ნაცნომ-მგობრები, რომლებსაც სურდათ გაეგოთ, თუ რა ნივთია ის რომლის სახელიც ეგრეაინ სთქვა, და რომელიც აგრი აღონებდა საუს. აივნან მისელისას სახლიდან გამოხტენე გახარებული ცოლი და სიღვდრი საუსი.

— ჩემი პატარა ბიჭუნია! შესძახა გახარებულმა ქალმა და მივარდა ეტლს მაგრამ მალე უკან დაიხია და განციფრებულმა ქმარს მიანტერდა.

— მე... მე... რაღაცა დამაწეწადა ვერ მოვიგონე. — წაიხილულა ქმარმა.

— შტრო! — ზიზლით შეყვირა ცოლმა — დურაქო! სად არის ბავშვი?..

და ყველანი თავმოგლეჯილი გაიქცნენ ვაჭრის ბინისაკენ.

ბორბოზა.

ბეკბული და ქებაღე.

იგვისებური.

(დასასრული)

III.

დრო გადიოდა, მებაღემ მაგრათ მოიღვა ფეხები; მტრებს ბაღზე შეიოსეულებს დასცა თავ-ხარის მებები და შინაგანი მტრებიცა უკულმა დაატრიადა; შემყვრა — აცახცახა, განდევნა, გაატიაო.

ტყე ვასქრა, ვხა გაიყვანა დაქსაქსა თვისი ძალები; ანთო ცეცხლებერ, სიხარბით დატყევებული თვალბი დაიწყო ბოლში პარპაში — მორთო, მოკაზმა — ნებაზე; სულ სხვა პანგები აფურა, გაღუბვია მცნებაზე!

საქ მას კ მარქსს
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ბულბულმა უთხრა: „კეთილო!
ძლევა, გონება — უღეო; *
მადლობელი ვარ ძალიან,
რაც თქვი, რომ აასრულეო!
აჲ ბალი მე ვიდომეცი,
გაფიცებ წმინდა ძმობასა,
მე უფრო ვამოვადებო,
გაუწვევ მეგობრობასა“.

— „რომელი ბალი, რა ბალი?!
ეს სადაური მტერია?!
ერთი მითხარი, ვის დარჩი
ასეთი ბედნიერია!
რასა მთხოვ, რა გსურს, რა გინდა?!
ან რა გაქვს მონაბარია!
როდის ვიყავი შენი ძმა,
ან შენი მეგობარია“

გულ-კეთილი ვარ მტრებზედაც
ვფიცავარ მალალ ზენასა,
თორემ მაგ თავებლობისთვის
ამოგავლეჯდი ენასა“!

ბულბულმა უთხრა: „რას ამბობ
მიხედე სინდის — დროსაო,
ბალი ჩემია, აჲ წადი,
გადაიკარგე შორსაო.
გენდე, ღროებით ვადმოგეც,
მეგონე წმინდა გულისა,
ახლა რა ღმერთი გაგიწყრა,
ანდა ვინ გაგაგულისა?“

შენების წალკოტს ვინ მოგცემს,
რათ წაიხდინე პირია;
გინდა ისედაც ავათ-ყოფს,
დამიროთა კირზე კირია“!

კარგი, გეყოფა ხუმრობა,
სველით ნუ მიღვე ძალასა;
შენ დაგილოცავ ადრევე
აღთქმულ ტყესა და ქალასა!
ბაღზე კი ხელი აიღე
და დამიკალე მალეო,
დახმარებისთვის მიიღე
აღთქმული, გენაცვალეო“!

— „რა აღთქმა, რა ტყე, რა ქალა?!
როცა აქ ყველა ჩემია
რას სჩივი? შენი რა მმართვეს?
ან რა მაქვს მოსაცქია“!!!

IV.

დაეცა სულთ ბულბული,
ცხარე ცრემლები სლიოდა;
ბუჩქებში; მხარ ჩამოყრილი
დადიოდა და სჩიოდა:

„სულელობითა დავცარე
მამული ჩემო შევიღებო,
ვიამე ბალო, — ყვეიღონო,
ვარდებო გადაშლილებო“.

დაღონდა, დაბლა დაეცა,
ფრთების შეტყვეამ გახარა;
დარდებში სული დალია,
შვილები ოძლათ დაჰყარა!.

დღეს უმამულო ბულბულნი
ტყეში და ღრეში ჰყვიან;
დაკარგულ მამის მამულზე,
დაფრთხილობენ, სჩივან!
მამას არ მისცა მამული,
ღროებით მიხარებული
და ამა შეიღებს რას მისცემს
მენაღე გამაგრებული!..

ვაშა-ბაჭყალი.



ბეთლემისაკენ.

ს ა ლ დ ი ს ო .

ძირს მაცურეო, გამონახე
შავი მიწა, ჯოჯოხეთი,
შენი მტერი დაიბადა,
დაიბადა ქრისტე-ღმერთი...
იუდეო-ძრწოდეთ მუდამ,
დადგა ქვეყნათ სინაოლი,
იშვა ქრისტე იქადაგა —
კაცთა შორის სიყვარული.

იძახიან: „ქრისტე იშვა,
მოვილოცავთ ქრისტეს შობას,
გაუმარჯოს მის მოძღვრებას,
ერთობას და თანაგრძნობას“.

ძირს მაცდუნო, გამონახე
სამყოფელთი ჯოჯოხეთი,
შენი მტერი დიბადა,
ღაბიდა ქრისტე ღმერთი.

ბუ — ტი.

პატარა ფელეტონი

სატანა და მინი ზჰაჰა.

ჭკუა. აკი გითხარი შენ სულელო,
„სატანას“ თავო,
გადიკიდებ მთელ ქვეყანას,
ჭკუით იყავო?!
და დარიგებას ეთანხმობი:
„არ ვიზამ მეტსა“.

თან იფიცვიდი — ზევით
ქვევით ხმელეთსა.
არც კი გასულა საათისა
ერთი თუ ორი,
ეგ შენი ფიცი უქუაგდე,
გამოდგა ჭორი;
და კვლავ ეწვიე, მოსვენებას
არ აძლევ ხალხსა,
შენ გაასწორებ ბრუნდს და მართალს
ამ ქვეყანასა?!
რომ უხბიენებ, თუ გინდ სიგზდს
რა დააშავებ?
ნუ თუ იმისთვის — ჭიათურა
არ აწყავებ?!
ან იქნებ მისთვის, რომ სიგზდის
ყველა აღგიღებ,
მხოლოდ „კვირიკებთ“ პატივობენ
გაშლილ სადილზე?
ან კიდევ, ვისაც „პროტექტორი“
ფეხებზე ჰქალი,



ქარაფშუტა კნიაზების ღროს ტარება.

გაუწვი და გამოუწვი,
დაუკარით ტაში-ტუშა!
ათამაშე „ჩინაზ“ მამა
როტა იუო გადგურდში!

ღროს პატარე უჩვენებთან?
არ შეიუობა-სიუფარულად;
შენ რომ გზედავ, შავონდება—
მაიმუნი, ბაიუშა.

კულიანი,

საქმარისია ერთს ბობოლას
 უქნიოს თვალი,
 რომ თბილ ადგილზე წამოსკუბდეს
 სწორედ ის გვარი,
 ვინაც შენ გსურდა,—ამისთვის
 მიუძღვის ბრალი?
 ვერ გაასწორებ, გიმეორებ,
 ვერა და ვერა;
 იცოდ, ბევრჯერ აგიტყუებდა
 გულისა ძეგრა...

სატანა. სიმართლის თქმაში ჩემო კჳუე,
 არ გყავს ბადალი,
 მაგრამ ფხიზელი თავიდანვე
 ეგ ჩემი თვალი,
 ვეღარ დავხუტე, გადვიკიდე
 აქ მთელი ჯარი;
 დღეს ბრძოლაში ვარ, მაგრამ ვდგევარ
 ერთ კლდე მივარბი,
 რაჯულიც დავტოვე, მისთვის გავხდი
 ეშმაკის „სკალი“
 და რომ დავბრუნდებ, არ ვარ ჯერე
 ისე საწყალო.

ჭკუა. განა წყნის ავს-სული ვერას გიხამს
 ამდენი ჯარი?
 მგონი რომ მძლე ოხრად დავრჩეს,
 შენი აბჯარი!..
 აი, „შეშანზეს“ ავარდნია
 თავის ცანცარი,
 ისიც შენ გეტყბს, მამა გაბედვე
 გაულმე კარი?
სატანა. რა „შეშანზეს“? გამოცანაში
 არ იყო გვარი
 სიდან გაიგო მე არ მესმის!..
 ვაჰ—მაგის ბრალი!
 იმან არ იცის, ის ძლიერი
 შთარახის ტარი?!
 ისე მოხვედება—ტირბრტებით
 იწყოს კვანტალი.

სატანა.

გურული სცენა.

ოთარახის ვახაჭირი.

ვინ დააქტვეს და დაბტყალავს ღმერთი მის სუ-
 ლობას, რაფერ იმან გამოხუაყა მთელ სერესკელ
 ხალხში. შემობთენ ახალი სულია მევედა და დაბაი-
 ხლო. გავაწყვე კისსავან კაი სადილი, საცივი, გო-
 ჟის ხორცი, ქათმის ხორცი, შშრალი ხორცი; ღვი-
 ნოს ამა ნულარ იკითხავ, ტყულაი რომაა ნავერ-

წკალს ყრიდა იმისთანაი იყო. ჩაჩეს და ჩაჩეს ღვი-
 ნო, სლიბეს და სლიბეს წვენი, ზაღეს და ზაღეს
 ხორცი; არ დუტუტებინა ფინჩაია.

სუღიას ბატონო, ნულარ იკითხავ, იმისანი
 დათვრა რომე ბოლი თლთ ჩასტკლეკა ბრიგინ-
 ბრიგინით! ყვიროდა ხან „ბრალეამიერს“, ხან
 „ოდელია რანუნის“; ბოლოს ერთი კაი რეჩიკ კი
 თქვა ჩემი სადინძელი; დღდავ, გადვიროე კაცი
 სისარულით, ვიპწყინე და ვიპწყინე, ვიფიქრე ღმე-
 თმა გამაყეთა, სუღია ნაცნობი მყავს და აწი რაღა
 მიქირს მეთქი. თურმე ნულარ ტყვი გავიარს შენი სა-
 დილი ძაღლის ყურყულსაგით.

მიჩივლა სიკოლიამ, ოთარაკამ ჩუმთათი ყენის
 ღობე გამირღვია და ყანა თელათ შექმულიაო.
 ყური არ გამიბარტყუნებია; ვიფიქრე ბოლოც
 მაწყენს ერთს მეთქი, ერთი რომე მართალი ვიყავი,
 ტყუენიც რომ ვყოფილიყავი სუღია ზნაკობი მყავდა
 და ხელათ გამამართლებდა.

ღამიბარეს სულში, ვიფიქრე კაცებში, ჩეკიყვი
 ჯიბეში ხელი და დევიწყე ტრახახი, სიკოლიეი ბო-
 ლოცს მაწყენს მეთქი. თურმე იგი იქნენი იღვა;
 ბოლოც თუ მაწყენს ქი დენახავო მომაძახა. ბიკო
 ოთარაკს აქ წახდებია ისეთ შენ რამე აწყინო, რას
 როშავ თუ რა მეთქი.

ამისობაში გამეძახეს სიკოლიეი, გამომიძახეს
 მეც. გოგელი თვაგამთ, შტრინგათ, დულკარი თავი
 სუღიას, მარა მაგიორი აფერი, დევიწყე; ბატონო
 სუღიავ, სიკოლიამ ტყულაი მიჩივლა, მე აფერი
 ვიცი მეთქი“. სუღიეი ვარისინდა, ჩამოლორსა ყუ-
 რი დამინებულ ვირსავით და რაცხა დულულაპარაკა
 იქინეი გაჩრებულ კაცს. იმ კაცმა მითხრა: „სო-
 რიფელი შენი გაქვირება მითხარი და მე სუღის
 მუახსენეფო“. დღდავ, რუა, შენზე ვარფერ ვინც
 იყოს ღმემრმა შიარცხენოს მეთქი, შენისთანაი
 ბაღანი თათი გამიზღია, ვიარებე აღმა, დღმა, ვი-
 ყავი სამტრედილაში, ლანხუთში, მუხიანაში, სვირ-
 შა და ლაპარაკს შენ მასტალი მეთქი! სუღიას
 ქართული არ ეყურებოა მითხრა.

ახლა კი ამეწვა კანი, ოთარაკავ წახდა შენი
 საქმე ვიფიქრე, შენი ნაცნობი სუღია ნამდვილათ
 გამოუცლიან მეთქი დავბრაწე თვალემა, ამევიწყ-
 მინდ და კარქათ, მივიწვი ახლო, მივაშტრდი სუ-
 ლის და ქი არ ვიკანი ჩემი სუღია ბრანწი ჩემო
 ძამიავ მეთქი, აი სუღია არა იი მე რომ დავბრაწე
 და ბრალეამიერ და ქართული რენი თქვა მეთქი.

რას ბეუტურობო, მივიყრა იმ კაცმა, იქინეი
 თუ ილაპარაკა აქანაი არ იცისო.

ვიფიქრე ამ სუღიას ნამდვილი უმეური შეხდე-
 ნია მეთქი, მივარტყე და მივარტყე რუსული: „სარი-



სარი სარსარაი, დანა-დგანა დგანდგანი, ლობე-
ლობე თელთელია, ეი ეი ბობრიკაი! რუსული არ
ვიცაღი გევონა მეთქი!

აგი რა რუსულიაო, მიყვირეს და მიყვირეს;
სულთმა კბილები დახვანა, იმ კაცმა თვალები დაპ-
რაწა, შევინდი და გამევიქეცე. ვერ წახვალო
მიბახეს, ვეწიე ზეით, ავტარ ავამაჯე, გადავტი
აქ-შეიდან, დავეცი პრისტავს თავზე და ვავაგორე
პრისტავი მუთაქსავით... ეი მკაცს, არ გავშავათო,
შეიქნა ფშვტინი, არიქა ოთარიკვე თუ ვარჯხარ
მეთქი, დევიკაპივე ჩოხა და ვქლიკე და ვქლიკე
შინისავენ.

ბუჯგუბტი

* * *

ყვავილით კრებულს, ყვავილით ბაღში
მზემ თავისი სხივი სტყარცნა
და უნდოდა მის მშვენიერებას
ჩახვეოდა, ჩავეკონა.

ციხის მნათობმა ამავე დროს
ეკლის ბაღშიც ჩაიხვედა,
რადგან სურდა—ყვავილი მტრისთვის
საყვედური გაეხვედა.

მაგრამ ამ დროს ღრუბელით კრებ
შთახთქი ის მზე, მედიდური;
პირველს კონცა დაუკარგა,
და მეორეს—საყვედური.

ოხ! ვის ძალი-უმს, რომ გავანტოს,
ღრუბელით კრება — ეკლის მტკელი;
ყვავილით ბაღმა კვლავ იხილოს—
ზნისა სხივი საყვადური.

მოსე.

ღ ე პ ე შ ი ბ ი.

(სკანდინავიის საყვარელი)

ბათუმი. დიტო გუგუსკუას ეს ერთი ხანია
ენა დაუგრძელდა. ექიმთა კონსულტაციამ დაადი-
ვნა: აუცილებლათ მოსკვანა ლიზინი ენა.

— ნ. ს. — ვეი ძალიან გულმოსულია: მე რომ
ათი წამი გადავიცილე მაღაზიის დაკეტვის დროს
და დამაჯარბემს, აქინიანი რა წითელი ვეერცხნია,
მის სიტუაციებში ათს კი არა ორმოც წამსაც აცი-
ლებს და არ დაუშტრაფავითო.

— ნორმალური დასვენების მეთავალსურე კო-
მისია დიდ ენერჯიას ირენს, რომ სავაჭროები საღა-
მოს თავის დროზე იქნას დაკეტილი მარა ასე
ფიქვით ცოტა ძილის მოყვარე ხალხია და ათ საათ-
ზე რომ წავლენ დასაძინებლათ, რესტორანები მთე-
ლი ღამე თავდა ყირა რომ დაეკიდოს. ვეფერს შე-
იტუბონ. საჭიროა აირჩეს ისეთი პირები რომლე-
ბაც მთელ ღამობით კარტას და ნარდს თამაშობენ.
ასეთ პირებს ადვილათ შეუძლიათ შენიშვნის რეს-
ტორანებში ქვიფი ღოსოდინებიდან და უძძლობა
მოსამსახურეთაგან. იმედია კანდიდატებს დასახე-
ლებენ ვისაც ამ საქმეზე შესტკივავ გული.

აკეთი. აქაურ კარტოენიკებში დიდი მუხუ-
რება ტრიალებს, რომ მამასახლისმა, თანახმათ ბ.
მოქალაქის მოწერილობით გამოეცხადა, რომ დუქ-
ნების ახლო-ვახლო კარტის თანაში არ შეიძლებაო.
წინააღმდეგ შემთხვევაში 25 ქანქარის გადახდით
დაემუქრა.

— დედებენ „კიას“ და ათავალიერებენ „მათ-
რახში“ მის ნაწერს, მაგრამ ზოგჯერ ვერ გამო-
იციენს.

— ზოგიერთებმა ქეოლების (ტრილობის დროს)
მოწინააღმდეგე პარტებმა შეშალეს თავიანთი წინან-
დელი პრინციპები, რომლისთვის მოითხოვენ მათ-
რახის კუღს წყერს.

კია.

ამაშა. ცნ. ქ-ნი „მეურნალი“ უცხო ხალხთ
მოყვარე, ბესარიონს საუელადგარო სამართალში
იწვევს ასეთი ცოტა „პაკიენტების“ დახვედრები-
სათვის.

ია — ძე.

სუფსა. შკოლის მზრუნველები ნაშეგანი და-
ილაღენ მეცადინეობით და თუ მათმა მოქმედებამ
ასე ენერგიულათ გასტანა, შესაფერ ჯიღლოს მიი-
ღებენ ხალხიდან.

სანათო. ელისეს დიდათ ემადლიერებიან მე-
შები რომელმაც კეთილ ინება და სამუშაოზე ისეთ
მუშებს ღებულობს, რომელიც მას ევაშნიკება.

კონწარახი.

ბ ა თ უ შ ი დ ა ნ ე.

ჩვენს ბათუმში შემოიღეს
ნორმალური დასვენება,
მაგრამ ვაჭრებს ეს ამბავი
სულაც არ ეპრაიანება!

ვაჭრებთან მოხეტიალბამაც
მოიყვანეს ძლიერ გული,
უნდათ მათი სავაჭრო რომ
მუდამ ჰქონდეთ ვიდებელი.

ხალხს თუ უნდათ მოსვენება
ვერ მოღიან ამ გროზობაზე,
ან კი როდის უფიქრიათ
ხალხის თავისუფლებასქ.

იძახიან: რას მიქვია.
საათობით ვაჭრობაო,
განა კიდევ მოაბრუნეს
ის ერთობა და ძობაა.

დაკეტვის დროს არ ჰკეავენს,
სურთ მოიგონ მეტი ფული,
მაგრამ მოგების მაგიერ
ბუფორია „დაშტრაფული“.

უნდათ ფული, ბლომათ ფული
მუდამ მაღაზია ღია;

ოლონდ ჯიბე დაისკელონ,
 ხაღბი წყალსაც წაუღია.
 და ჩხუბობენ, მოსდით გული,
 ნოქრების აქეთ მათ ჯინია,
 დავიწყნიათ, ამ საქმეში
 ხალხს რომ აღარ ეშინია.

იხილეთ.

ბრიზაშვილისძეაზრი.

მიყვარს ფეხი ქალებისა,
 მისკენა მაქვს მე თვალები;
 ის ჩემია, მე—მისი ვარ,
 ვერტფი და ვენაცვალები.
 ფეხო, ფეხო,
 ოქროს ფეხი!

არ გიყვარვარ?
 ცოდო არ ვარ?
 ოქროს ფეხო შემობრალე,
 გენაცვალე, გენაცვალე!
 —
 დაგიკოცნი სატრფოვ ფეხებს,
 თუნდ იყოს ტალახიანი,
 არ მინდა დღე მე უშენოთ
 და არც ღამე მთვარიანი!..
 ოქროს ფეხო,
 მომეხევი,
 მოვეკვე ცრემლი
 დამაფრქევი,
 ოქროს ფეხო შემობრალე,
 გენაცვალე, გენაცვალე.

დ—ლადე.



ნიმუშაა ფეხების კოტორია:

მიყვარს ფეხი ლამაზების
 აწეული, გამბეკილი;
 მე მას ვლოკავ დღისით, ღამით,
 წამითაც არ მომიდის ძილი.
 ჩემი ტუნჩი, ის მალხაზი
 მისთვისა მაქვს მომზადილი,
 უმისოთ მე არ მინდა—
 არც ფახში, არც სადილი.

მიყვარს ფეხი ლამაზების,
 ფეხი ტურფა, ფეხი ნაზი
 და ეს ფეხი ყველა ქალის
 მე რომ არ მაქვს მომიდის ბრაზი;
 მე იმისთვის დავმზადე:
 ჩოთქი, ვაქსი, ლაქი, მაზი!
 ვიში ბუნებაც! ეს ფეხები,
 რა კონტაა, რა ლამაზი.